ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №95118

ნომერი: AR129760

თარიღი : 19.03.2012

გაცემის თარიღი : 26.03.2012

გაცნობის თარიღი : 26.03.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი წერეთელი პ/ნ 01023002888
- თბილისი საბარგოს დას. გ.ანწუხელიძის ქ. N 9

ორგანიზაცია:

- ევრო სვინგ კოდი: 200069549

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მეტროს სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ, შპს "ბაზრობა-გაზაფხული"-ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსების შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნულის განხორციელება, თუმცა გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები (რაც ასევე გეცნობათ სამსახურის #86983 გადაწყვეტილებით)

აღნიშნული სამუშაოებზე არ გაცემულა არანაირი ნებართვა, შესაბამისად ელექტრონული განცხადების დარეგისტრირებისას უნდა აირჩიოთ I კლასი – "აბრებისა და რეკლამების განთავსება" ქმედებებში – ახალი მშენებლობა" (კორექტირების გარეშე). რის შემდგომაც ველები – "სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები"–ს შევსება სავალდებულო აღარ იქნება. ამავდროულადა გაითვალისწინეთ, რომ ფოტომონტაჟზე მისათითებელია გაბარიტული ზომები.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.